

დოკუმენტის დანიშნულება

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია ძირითადი ინფორმაცია "ფორსაითის ლარის ფულადი ბაზრის ფონდის" შესახებ. ეს არ არის მარკეტინგული მასალა. მოცემული დოკუმენტის მონოდება არის კანონით სავალდებულო და მიზნად ისახავს გაგაცნოთ ინფორმაცია პროდუქტის კონცეფციის, საინვესტიციო სტრატეგიის, რისკ-პროფილის, მოსალოდნელი ამონაგების, საკომისიოების და სხვა დეტალების შესახებ, რაც დაგეხმარებათ აღნიშნული პროდუქტი შეადაროთ სხვა ფინანსურ პროდუქტებს.

პროდუქტი

ფორსაითის ლარის ფულადი ბაზრის ფონდის „ა“ კლასის საშემოსავლო ერთეული

-ვალუტა: ქართული ლარი (GEL)

-პროდუქტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ www.foresight.ge ან დარეკეთ 032 2 22 52 12.

-პროდუქტი ავტორიზებულია საქართველოს ეროვნული ბაზის მიერ საქართველოს კანონის „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ შესაბამისად.

-საქართველოს ეროვნული ბაზის მიერ ფონდის ავტორიზაცია არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა ინვესტიციის ღირებულების შესახებ. ფონდში ინვესტირებამდე, ინვესტორი დეტალურად უნდა გაეცნოს ფონდის საინვესტიციო პოლიტიკას, აღწერილ რისკებს და ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება ინვესტირებასთან დაკავშირებით.

პროდუქტის დახასიათება

პროდუქტის ტიპი

წინამდებარე დოკუმენტით წარმოდგენილი ფინანსური პროდუქტი არის ღია საინვესტიციო ფონდი, რომელიც ავტორიზებულია საქართველოს ეროვნული ბაზის მიერ 2024 წლის 24 იანვარს, საქართველოს კანონის "საინვესტიციო ფონდების შესახებ" შესაბამისად.

ფონდის მიზანი

ფონდის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მათ შორის, ინსტიტუციურ ინვესტორებს შეუქმნას ფულადი სახსრების მოკლევადიანი და მაღალ-ლიკვიდური დაბანდების საშუალება ეროვნულ ვალუტაში, ბაზარზე არსებულ ალტერნატივებთან შედარებით მაღალი სარგებლის მიღების შესაძლებლობით.

ინვესტორის პროფილი

ფონდი განკუთვნილია იურიდიული პირებისთვის და საცალო ინვესტორებისთვის, რომლებსაც:

- პერიოდულად აქვთ ქარბი მოკლევადიანი ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში;
- სურთ ქარბი რესურსების განთავსება მოკლევადიან, მაღალ-ლიკვიდურ და მაღალ-ამონაგებიან ინსტრუმენტში.

აქტივების მმართველი კომპანია

ფონდის აქტივების მმართველი კომპანია არის 2021 წლის 31 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბაზის მიერ ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანია შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპი“.

საინვესტიციო პროცესი

ფონდში ინვესტირება

წარმოდგენილ პროდუქტში ინვესტირება შესაძლებელია ფონდის მიერ გამოშვებული „ა“ კლასის ერთეულების შესყიდვით. ერთეულების შესყიდვა შესაძლებელია, როგორც „ფორსაითის ინვესტორთა პორტალის“ (portal.foresight.ge) მეშვეობით, ასევე აქტივების მმართველი კომპანიის ოფისში ვიზიტით.

ფონდიდან ამონაგების მიღება

ფონდის ერთეულების შესყიდვის (ფონდში ინვესტირების) შედეგად გამომუშავებულ სარგებელს ერთეულების მფლობელი (ინვესტორი) მიიღებს ყოველთვიური დივიდენდის სახით, ყოველი თვის არაუგვიანებს 10 (ათი) რიცხვისა.

ინვესტირებული თანხის უკან გატანა

ერთეულის მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე, ფონდის აქტივების მმართველი უზრუნველყოფს ერთეულების უკან გამოსყიდვას და ინვესტირებული თანხის ინვესტორისთვის დაბრუნებას მოთხოვნიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში.

ფონდის საინვესტიციო პოლიტიკა

სტრატეგიული მიზნები

- **საინვესტიციო მიზანი:** ფონდმა მიაღწიოს ბენჩმაჩკ ამონაგებზე უფრო მაღალ გროს ამონაგებს;
- **მაღალ-ლიკვიდურობისა და დაბალ-რისკიანობის მიზანი:** ფონდი ხასიათდებოდეს ლიკვიდურობის მაღალი დონით და დაბალი რისკ-პროფილით.

ბენჩმარკ ამონაგები

წლიური ბენჩმაჩკ ამონაგები უდრის სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 1%.

საინვესტიციო სტრატეგია

ფონდში მოზიდული ფულადი სახსრების 100%-ის ინვესტირება ხორციელდება დაბალ-რისკიან და მაღალ-ლიკვიდურ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში, როგორცაცაა:

- საბანკო სადეპოზიტო პროდუქტები;
- სახაზინო ვალდებულებები და ობლიგაციები;
- კორპორაციული სავალო ვალდებულებები;
- რეპო გარიგებები;
- სხვა ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები.

დაუშვებელია ფონდის ფულადი სახსრების ინვესტირება:

- უძრავ ქონებასა და სხვა ფიზიკურ აქტივებში;
- კომპანიების წილებსა და აქციებში;
- დერივატივებში (სავალუტო რისკის ჰეჯირებისთვის ფორვარდების და სვოპების გარდა);
- პროსპექტით აკრძალულ სხვა აქტივებში.

საინვესტიციო ლიმიტები

ვალუტა

- ფონდის პორტფელის 100% ინვესტირებული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში;

ლიკვიდურობის ლიმიტი

- პორტფელის არანაკლებ 30% - მაღალ-ლიკვიდურ ფულად სახსრებსა და საბანკო დეპოზიტებში.

ფასიანი ქაღალდების რეიტინგის ლიმიტები

- მინიმუმ სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ერთი საფეხურით დაბალი რეიტინგი;
- ქვეყნის რეიტინგზე ერთი საფეხურით დაბალი საკრედიტო რეიტინგის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების წილი - მაქს. 30%.

კონცენტრაციის ლიმიტები

- ერთი ემისიის ფარგლებში გამოშვებული ფასიანი ქაღალდები - მაქს. 25%;
- ერთი ემისიის მიმოქცევაში არსებული ფასიანი ქაღალდები - მაქს. 25%;
- დაკავშირებული მხარეების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები - მაქს. 25%;
- ერთ კომერციულ ბანკში კონცენტრაციის ლიმიტი - მაქს. 35%.

ფონდის მიერ სესხის აღება

- ლიკვიდურობის მართვის მიზნებისთვის, ფონდს შეუძლია NAV-ის არაუმეტეს 30% აიღოს სესხად.

ზედამხედველობა და კონტროლი

ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი ჩარჩო

ფონდისა და აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობა რეგულირდება 2020 წლის 22 ივლისის „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

აღნიშნული კანონი და კანონქვემდებარე აქტები აწესრიგებენ საინვესტიციო ფონდებისა და აქტივების მმართველი კომპანიების საქართველოში დაფუძნებასთან და მართვასთან, აგრეთვე მათ მიერ ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და ურთიერთობებს. კანონის საფუძველზე ასევე განისაზღვრება პირობები, რომლებიც, არეგულირებს უცხოური საინვესტიციო ფონდებისა და აქტივების მმართველი კომპანიების საქმიანობას საქართველოში.

კანონის მიხედვით, ფონდისა და აქტივების მმართველი კომპანიის ზედამხედველო ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ).

ფონდის სპეციალიზებული დეპოზიტარი

საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად, აქტივების მმართველი კომპანია ფონდის აქტივების შენახვის, აღრიცხვისა და ადმინისტრირების ფუნქციების დელეგირებას ახორციელებს ლიცენზირებულ სპეციალიზებულ დეპოზიტარზე.

აქტივების მმართველის გადაწყვეტილებით, ფონდის ყველა აქტივის, მათ შორის მისი ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების სპეციალიზებულ დეპოზიტარად ინიშნება [სს „ხალიკ ბანკი საქართველო“ \(ს/კ 205236537\)](#).

ხელშეკრულების თანახმად, დეპოზიტარს ევალება ფონდის აქტივების შენახვა ან/და ფონდის სახელზე მათი აღრიცხვა, ფონდის ფულადი ნაკადების კონტროლი, ფონდის ერთეულების გამოშვება/ გაუქმების კონტროლი და ფონდის საქმიანობის პროსპექტთან, სადამფუძნებლო დოკუმენტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი.

პროდუქტის რისკიანობა

რისკიანობის ინდიკატორი



რისკიანობის ინდიკატორი ასახავს წარმოდგენილი პროდუქტის რისკიანობას სხვა ფინანსურ პროდუქტებთან შედარებით. აღნიშნული ინდიკატორი აჩვენებს პროდუქტში ინვესტირებული ფულადი სახსრების დაკარგვის ალბათობას, როგორც საბაზრო ვოლატილობის, ასევე სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო. **აქტივების მმართველის შეფასებით, პროდუქტი რისკის ყველაზე დაბალი კლასის კატეგორიაშია.**

აღნიშნული შეფასება გულისხმობს რისკის ძალიან დაბალ დონეს, რაც ნიშნავს, რომ დაბალია ალბათობა იმისა, რომ განსაკუთრებით სტრესულ საბაზრო პირობებშიც კი ფონდის გადამხდელუნარიანობა საფრთხის ქვეშ დადგეს.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ყველაზე დაბალი რისკის კატეგორია არ გულისხმობს ინვესტიციის ურისკობას. ნებისმიერი ინვესტიცია ფინანსურ ინსტრუმენტებში რისკების შემცველია.

წარსული პერფორმანსი არ არის მომავლის შედეგების პროგნოზირების საფუძველი.

ინვესტიციის განხორციელებამდე, პოტენციური ინვესტორი გულდასმით უნდა გაეცნოს პროსპექტს, სადამფუძნებლო დოკუმენტსა და სხვა მასალებს, და ფრთხილად გაანალიზოს წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილ პროდუქტთან დაკავშირებული რისკები და მათი შესაბამისობა თავის საინვესტიციო მიზნებთან და ფინანსურ მდგომარეობასთან.

ფონდის პროსპექტი და სადამფუძნებლო დოკუმენტი ხელმისაწვდომია უფასოდ ქართულ ენაზე აქტივების მმართველი კომპანიის ვებ-გვერდზე:
www.foresight.ge/gel-mmf

შემოსავლიანობის სცენარები

ქვემოთ მოცემული შემოსავლიანობის მაჩვენებლები ითვალისწინებს პროდუქტში ინვესტირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. თუმცა, მაჩვენებლები არ ითვალისწინებს კონკრეტული ინვესტორის პერსონალურ საგადასახადო მდგომარეობას, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საბოლოო შემოსავლიანობაზე.

გასათვალისწინებელია, რომ წინამდებარე პროდუქტიდან მიღებული პოტენციური შემოსავლები დამოკიდებულია სამომავლო საბაზრო პირობებზე. ბაზრის განვითარება და სამომავლო პირობები გაურკვეველია და შეუძლებელია მისი ზუსტი პროგნოზირება.

ფონდის შემოსავლიანობა დიდწილად დამოკიდებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე. შესაბამისად, ცხრილში მოცემული არახელსაყრელი, ნეიტრალური და ხელსაყრელი შემოსავლიანობის სცენარები გამომდინარეობს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებიდან, რომლებიც დამოკიდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთზე.

ფონდში ინვესტიცია (მაგალითი)		€100,000.00	
სცენარები		ინვესტიციის ვადა	
		1 წელი	14 დღე
მინიმალური ამონაგები	არ არის დაწესებული		
არახელსაყრელი	წლიური შემოსავლიანობა ინვესტორის საორიენტაციო წმინდა ამონაგები (%)	€6,750.00 6.75%	€258.90 0.259%
ნეიტრალური	წლიური შემოსავლიანობა ინვესტორის საორიენტაციო წმინდა ამონაგები (%)	€8,050.00 8.05%	€308.77 0.309%
ხელსაყრელი	წლიური შემოსავლიანობა ინვესტორის საორიენტაციო წმინდა ამონაგები (%)	€9,250.00 9.25%	€354.79 0.355%

ხარჯები და საკომისიოები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში მოცემულია ფონდში ინვესტირებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და საკომისიოების ტიპები და ოდენობები - სათითაოდ და ჯამურად - საინვესტიციო ვადის გათვალისწინებით.

კალკულაციისთვის მიზნებისთვის, გაკეთებულია გარკვეული დაშვებები:

- ინვესტიცია - ლ100,000.00
- ფონდის პორტფელის წლიური გროს ამონაგები - 10.00% (ხარჯებამდე)

	14 დღე	1 წელი
სულ ხარჯები (ლ100,000-იან ინვესტიციაზე)	74.83 ლ	1,950.00 ლ
სულ ხარჯები (პროცენტულად)*	0.075%	1.95%

ხარჯების კომპოზიცია

საკომისიო/ხარჯი*	წლიური ოდენობა და აღწერა	ხარჯები ლ100,000-იან ინვესტიციაზე:	
		14 დღე	1 წელი
აქტივების მართვის საკომისიო	1%; აქტივების მმართველის ფიქსირებული საკომისიო, ფონდის ყოველდღიური მართვისთვის	ლ38.36	ლ1,000.00
აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურების საფასური	0.75%; დამატებითი გარე მომსახურებებისთვის (მოიცავს დეპოზიტარის საკომისიოს 0.07% წლიური)	ლ28.80	ლ750.00
საინვესტიციო მოგების საკომისიო**	ბენჩმარკ ამონაგების ზემოთ 20%; ფონდის შედეგებზე დამოკიდებული ცვლადი საკომისიო	ლ7.67	ლ200.00
ჯამი		ლ74.83	ლ1,950

*ყველა საკომისიო ითვლება ფონდის აქტივების წმინდა ღირებულებიდან (NAV);

**საინვესტიციო მოგების საკომისიო უდრის ფონდის საინვესტიციო პოლიტიკით დადგენილ დღიური ბენჩმარკ ამონაგების ზემოთ მიღებული დღიური გროს ამონაგების 20%-ს.

სხვა რელევანტური ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციის მიღება

პროსპექტის, სადამფუძნებლო დოკუმენტის და უახლესი წლიური და ნახევარწლიური ფინანსური ანგარიშგებების ქართულენოვანი ასლები, ასევე ფონდის აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) კალკულაცია და ფონდის ერთეულების მიმდინარე ფასი ხელმისაწვდომია უფასოდ www.portal.foresight.ge-ზე.

დამატებით, აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელია:

- ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (mmf@foresight.ge);
- წერილობით (შპს ფორსაით ინვესტმენტ გრუპი, 0108, თბილისი, ბესიკის ქ. 4, #204); ან,
- სატელეფონო ზარით (032 2 22 52 12).

პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები

იონანე მორჩილაძე

უფროსი საინვესტიციო ოფიცერი

არჩილ მელიქაძე

რისკების მართვის უფროსი ოფიცერი

გადასახადები

ფონდი ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო რეგულაციებს. აღნიშნულმა შესაძლოა გავლენა იქონიოს ინვესტორის პირად საგადასახადო მდგომარეობაზე.

პრეტენზიის მიღების პროცედურა

თუ გაქვთ პრეტენზია ფონდთან დაკავშირებით, შეგიძლიათ დარეკოთ 032 2 22 52 12-ზე, მოგვწეროთ complaints@foresight.ge-ზე, ან გვწვეოთ აქტივების მმართველის ოფისში (0108, თბილისი, ბესიკის ქ. 4, #204). პრეტენზიების მართვის პროცედურის შესახებ დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ფონდის პროსპექტი.

ვეკო დოდაშვილი

იურიდიული და შესაბამისობის უფროსი ოფიცერი

ვლადიმერ მესტიაშვილი

ფონდის მმართველი